



2009 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ევროკავშირის საგრანტო კონკურსში `Tempus-IV`, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა, კულტურის მენეჯმენტის განვითარება და თამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან.

საგრანტო პროექტის დასახელებაა – `უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის`.

აღნიშნულ პროექტში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (კოორდინატორი – პროფ. ი. მაგანია) პარტნიორები არიან ევროკავშირის მხრიდან ლატვიის (მთავარი კოორდინატორი უნივერსიტეტი), პორტუგალიის და იტალიის, ხოლო ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნების მხრიდან სომხეთის, უკრაინის და მოლდოვას უნივერსიტეტები.

პროექტის ხანგრძლივობაა 3 წელი (2010-2013წწ.).

მიმდინარე წლის 14-16 მარტს ბრიუსელში იმყოფებოდა კულტურათაშორისი კომუნიკაციების განყოფილების უფროსი, პროფესორი ინდირა მაგანია პროექტის მონაწილე უნივერსიტეტების კოორდინატორების პირველ შეხვედრაზე დასასწრებად, სადაც განიხილეს პროექტთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, მისი სტრუქტურა, ფინანსური მხარე, ღონისძიებები და სხვა.

პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტისათვის ტექნიკურ დახმარებას, ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, სტუდენტების მობილობისათვის ხელშეწყობას, ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებას.